

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული
საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული
დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ინსტიტუტის 2026 წლის 31 იანვრის
საერთო კრების შემაჯამებელი ოქმი

2026 წლის 30-31 იანვარს, ნაწილობრივ ვირტუალური (სატელეფონო, საინტერნეტო) გამოკითხვის გზით, რადგან ამ დღეებში ინსტიტუტის 4 თანამშრომელი არ იყო თბილისში, 2 იყო ავად, შედგა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საერთო კრება.

კრების მიზანი იყო ინსტიტუტის თანამშრომელთა დამოკიდებულების გამოკვეთა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაერთიანების თაობაზე უკვე გაცხადებულ სამთავრობო გადაწყვეტილებაზე. ამასთან, კრებაში მონაწილეობა მიიღეს:

ა) ინსტიტუტის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების წევრებმა:

1. კონსტანტინე ფხაკაძე, ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საზოგადოებრივ საწყისებზე განყოფილების ხელმძღვანელი, სტუ აკადემიური საბჭოს წევრი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მეცნიერთა საბჭოს წევრი, სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის წევრი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის სექციის დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე;
2. მიხეილ რუხაია, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც შეთავსებით არის თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის სექციის თანათავმჯდომარე;
3. ბესიკ დუნდუა, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სტუ სენატის წევრი, რომელიც შეთავსებით არის თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციის ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის სექციის თანათავმჯდომარე;
4. ბიძინა ლემონჯავა, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სტუ სენატის წევრი, შეთავსებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. დავით გეგია, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სტუ აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატი;
6. ნოდარ ზარიძე, ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ბ) ინსტიტუტის ქართული და აფხაზური ენობრივი რესურსებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის წევრებმა:

7. შალვა მალიძე, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
8. დავით კურცხალია, ლაბორატორიის პროგრამისტი;
9. ლუკა ფხაკაძე, ლაბორატორიის პროგრამისტი;
10. ნათია ჩიხლაძე, IT სპეციალისტი;
11. რიტა მარღანია, აფხაზური ენის სპეციალისტი.

კრების შედეგად, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ამ ახლად ფორმირებული ინსტიტუტის უკლებლივ ყველა თანამშრომელმა, გამოიკვეთა შემდეგი:

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი მხარს უჭერს მთავრობის მიერ დაანონსებულ სასკოლო და საუნივერსიტეტო რეფორმებს და მიესალმება კიდევ ამ რეფორმების უკვე გაცხადებულ ძირითად მიზნებს, არცერთი მათგანი არ უჭერს მხარს 104 წლის ისტორიის მქონე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაუქმებას, რადგან ეს ნიშნავს კავკასიაში უძველესი მრავალტექნიკური პროფილის ინსტიტუტის ანუ, რაც იგივეა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უწყვეტი 104 წლიანი ისტორიის შეწყვეტას. თუმცა, ეს აქ აღნიშნული, იმას არ ნიშნავს, რომ ინსტიტუტი არაკონსტრუქციულ, ანტაგონისტურ მიმართებაში ჩაუდგება 2024 წლის 26 ოქტომბრის დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნებით საქართველოს მმართველობაში მეოთხედ მოსულ ქართული ოცნების იმ მთავრობას, რომლის პირდაპირი მხარდაჭერითაც 2025 წლის 15 მაისიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ამოქმედდა საქართველოს სახელმწიფო ენების კულტურული დაცვისა და ტექნოლოგიური განვითარების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რაც, ცხადია, არ მოხდებოდა რომ არა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, რექტორატის, აკადემიური საბჭოსა და სენატის მრავალწლიანი მხარდაჭერა (უფრო დეტალურად იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf>, <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/28.pdf> და <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/24.pdf> მისამართებზე განთავსებული მასალები).

2. საქართველოს პრემიერისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მხარდაჭერა როგორც საქართველოს მთავარი და მეორე სახელმწიფო ენების - ქართული და აფხაზური ენების დაცვის, ისე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენისა და გაჯანსაღების გზით საქართველოს მყარი და მშვიდობიანი გაერთიანების მიზნებისადმი.

გარდა ამისა, ინსტიტუტის საერთო კრებაზე მოკლედ იქნა მიმოხილული <https://link.springer.com/book/10.1007/978-3-319-13135-1> მისამართზე განთავსებული 318 გვერდიანი ნაშრომი „შერწყმები და ალიანსები უმაღლეს განათლებაში - საერთაშორისო პრაქტიკა და ახალი შესაძლებლობები“ („Mergers and Alliances in Higher Education - International Practice and Emerging Opportunities“), რომელზედაც ინფორმაცია მოგვაწოდა საზოგადოებრივ საწყისებზე საინსტიტუტო პროექტის თანახელმძღვანელმა ალექსანდრე მასხარაშვილმა (იხილეთ <https://geoanbani.com/Other/PDFs/Articles/26.pdf> მისამართზე განთავსებული ჟურნალის მე-4 გვერდი).

ამასთან, ინსტიტუტის დირექტორის, კონსტანტინე ფხაკაძის თქმით, ამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვან ნაშრომში მიმოხილულია უნივერსიტეტების გაერთიანებისა და გაძლიერების ორი გზა:

პირველი ეს არის უნივერსიტეტების გაერთიანება ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი უნივერსიტეტის შერწყმის გზით, რა დროსაც ან უქმდება შერწყმაში შემავალი ყველა უნივერსიტეტი და ამ გზით წარმოქმნილ ახალ უნივერსიტეტს ახალი სახელი ერქმევა, ანდა მას ერქმევა შერწყმაში შემავალი ერთი რომელიმე უნივერსიტეტის სახელი, რაც იმას ნიშნავს, რომ შერწყმაში შემავალი ყველა სხვა უნივერსიტეტი უქმდება.

მეორე ეს არის უნივერსიტეტების გაერთიანება საუნივერსიტეტო ალიანსების ანუ შეკავშირებული უნივერსიტეტების ანუ უნივერსიტეტთა ჯგუფების (კლასტერების) შექმნის გზით, რა დროსაც არ უქმდება ალიანსში შემავალი არცერთი უნივერსიტეტი, არამედ იქმნება რექტორთა საბჭოს მსგავსი ახალი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ეფექტურად წარმართავს უნივერსიტეტთა ალიანსის გამაერთიანებელ სტრატეგიულ მიზნებს.

ანუ, ახლა უკვე გასაგები ხდება, რომ სამინისტრო ქართული უნივერსიტეტების გაძლიერების მიზნით გვთავაზობს უნივერსიტეტების გაძლიერების მსოფლიოში ცნობილი ორი გზიდან **პირველს** ანუ **უნივერსიტეტების შერწყმის** გზას, რაც, ბუნებრივია, გასაგებს ხდის იმას, რომ სამინისტრომ უარი თქვა ქართული უნივერსიტეტების გაძლიერების **მეორე** ანუ

საუნივერსიტეტო ალიანსების შექმნის გზაზე, რაც, თავის მხრივ, ბუნებრივად ბადებს ერთ მეტად მნიშვნელოვან შეკითხვას: იქნა თუ არა განხილული დღეს მოქმედ რექტორთა საბჭოზე საქართველოს უნივერსიტეტების გაძლიერების ამ ორი შესაძლო გზიდან რომელი უფრო უპრიანი იქნებოდა საქართველოსთვის? - პირადად ჩემთვის ეს რიტორიკული შეკითხვაა, რადგან კარგად ვიცნობ თსუ-ს რექტორს, ჯაბა სამუშიას და კიდევ უფრო კარგად ვიცნობ სტუ-ს რექტორს, დავით გურგენიძეს, და ზუსტად ვიცი, რომ ისინი მატყუარა კაცები არ არიან!

თუმცა, მეორე მხრივ, იგივე ეს სულაც არ არის რიტორიკული შეკითხვა, არამედ არის ის მთავარი შეკითხვა, რაც, ცხადია, ჯერ უნდა განხილულიყო რექტორთა საბჭოზე და მხოლოდ მერე უნდა გაკეთებულიყო განცხადება სტუ-სა და თსუ-ს შერწყმა-გაერთიანების თაობაზე.

ამ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ინსტიტუტის საერთო კრებაზე ყურადღება გამახვილდა ნაშრომის „შერწყმები და ალიანსები უმაღლეს განათლებაში - საერთაშორისო პრაქტიკა და ახალი შესაძლებლობები“ მე-5 გვერდის ბოლოდან მე-2 აბზაცის აქ, ქვემოთ, მუქი შრიფტით წარმოდგენილ თარგმანზე, რაც საკმაოდ მყარად წარმოაჩენს ქართული უნივერსიტეტების გაძლიერების მიზნით სამინისტროს მიერ არჩეულ უნივერსიტეტების შერწყმის გზის არამართებულებას.

„შერწყმის შესახებ არსებული ლიტერატურა ზოგადად არ იძლევა ასე წარმოქმნილი ინსტიტუტის განსაკუთრებით დადებით შეფასებებს. მაგალითად, კარტრაიტი და ჩოენბერგი (2006) შერწყმისა და შთანთქმის 30-წლიანი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ასკვნიან, რომ ასეთ ინსტიტუტებში წარუმატებლობის მაჩვენებლები სტაბილურად მაღალი რჩება. უნივერსიტეტების შერწყმებს არ გააჩნიათ კონტრაფაქტუალური საფუძველი და, შესაბამისად, მათი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ გრძელვადიანი შესრულების მიმდინარეობაზე დაკვირვების საფუძველზე (ყველა იმ წინააღმდეგობების გათვალისწინებით, რასაც იწვევს ინსტიტუტის ეფექტურობის შეფასებები). მამ და სხვებმა (2009) მოგვაწოდეს იშვიათი მაგალითი შერწყმული უნივერსიტეტების (ჩინეთში) კვლევითი მუშაობის რაოდენობრივი შეფასებებისა და დაადგინეს, რომ შერწყმის შემდგომი რამდენიმე წლიანი გაუმჯობესების შემდეგ, მუშაობის ხარისხი როგორც წესი მცირდება გაერთიანებულ ადმინისტრაციებში ერთიანობის დაკარგვის გამო. ამით მათ გაიმეორეს ჰარმანისა და მიკის ადრინდელი ნაშრომის მიგნებები, რომლის მიხედვითაც ახლად შერწყმულ ინსტიტუტებს შეიძლება 10 წელიც კი დასჭირდეთ ერთი მთლიანი წარმონაქმნის სახით სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის (2000). მარტინი და სამელსი (2002) ამავე საკითხთან დაკავშირებით კიდევ უფრო პესიმისტურ ხედვებს გვთავაზობენ შერწყმის მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგებზე სტატიაში, რომლითაც უარყოფილია აშშ-ში უნივერსიტეტებისა და კოლეჯების შერწყმისადმი მათივე ადრინდელი ოპტიმისტური დამოკიდებულებები (მარტინი და სამელსი, 1994), იმის გამო, რომ მათი გათვლით შერწყმისა და სუპერ-ინსტიტუტების წარმოქმნის ადრე მათ მიერვე მოსალოდნელი ტალღა სინამდვილეში ვერ განხორციელდა, რადგან უბრალო დაკვირვებებით დადგინდა, რომ ისინი რიცხობრივად კარგად დაგეგმილ სტრატეგიულ ალიანსებს 20:1 თანაფარდობით ჩამორჩებიან.“

და ბოლოს, ზემოაღნიშნულთა და არამხოლოდ ზემოაღნიშნულთა გათვალისწინებით, ინსტიტუტის საერთო კრებაზე გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოს უნივერსიტეტების გაძლიერების ზემოწარმოდგენილი ორი გზიდან უფრო უპრიანია საფუძვლად ავილოთ მეორე გზა ანუ საუნივერსიტეტო ალიანსების გზით უნივერსიტეტების გაძლიერების გზა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე მიღებულ უნდა იქნას პრემიერის მიერ უკვე დაანონსებული ფართო და საჯარო აკადემიური დებატების ფარგლებში ისე როგორც ეს შეეფერება კულტურაზე და განათლებაზე ორიენტირებულ დემოკრატიულ საზოგადოებას!

ინსტიტუტის 2026 წლის 31 იანვრის საერთო კრების შემაჯამებელი ოქმით გამოთქმულ ხედვებზე თანხმობის ნიშნად წინამდებარეს ხელს აწერენ:

1. ინსტიტუტის დირექტორი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, საზოგადოებრივ საწყისებზე ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების ხელმძღვანელი
2. მიხეილ რუხაია, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების წევრი
3. ბესიკ დუნდუა, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სტუ სენატის წევრი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების წევრი
4. ბიძინა ლემონჯავა, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, სტუ სენატის წევრი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების წევრი
5. დავით გეგია, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, სტუ აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატი
6. ნოდარ ზარიძე, ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ლოგიკის, ენისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილების წევრი
7. შალვა მალიძე, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
8. დავით კურცხალია, ლაბორატორიის პროგრამისტი;
9. ლუკა ფხაკაძე, ლაბორატორიის პროგრამისტი;
10. ნათია ჩიხლაძე, IT სპეციალისტი
11. რიტა მარღანია, აფხაზური ენის სპეციალისტი.











